



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზაალიშვილი მალხაზ მიხეილის ძე



ზაალიშვილი მალხაზ მიხეილის ძე (დ. 27. IX. 1920, მცხეთა), ბიოფიზიკოსი. საქართვე. მეცნ. ეროვნ. აკად. აკადემიკოსი (1988; წ.-კორ. 1979). ბიოლ. მეცნ. დოქტორი (1973), პროფესორი (1975). თეორ. და გამოყენებითი ბიოფიზ. განათლების საერთაშ. ასოციაციის პრეზიდენტის წევრი. 1941 დაამთავრა თსუ-ის ქიმ. ფაკ-ტი ფიზიკური ქიმ. სპეციალობით. 1941-44 იყო საქართვე. ჰიგიენის ინ-ტის ქიმიკოს-

ანალიტიკოსი. 1947-86 მუშაობდა საქართვე. მეცნ. აკად. ფიზიოლ. ინ-ტში, სადაც 1962 შექმნა ბიოფიზ. ლაბორატორია (შემდეგ - ბიოფიზ. სექტორი). მისი ინიციატივით საქართვე. მეცნ. აკად. ი. ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინ-ტის ბიოფიზ. სექტორის ბაზაზე დაარსდა საქართვე. მეცნ. აკად. მოლეკულური ბიოლ. და ბიოფიზ. ინ-ტი. 1986-2000 იყო აღნიშნული ინ-ტის დირექტორი, 2000-06 - საქართვე. მეცნ. აკად. მოლეკულური ბიოლ. და ბიოფიზ. ინ-ტის ზემოლეკულური სისტემებისა და უჯრედის ბიოფიზ. ლაბორ. გამგე, 2006-იდან - ამავე ინ-ტის ბიოლ. ძვრადობის განყ-ბის გამგე, 1989-2002 - საქართვე. მეცნ. აკად. პრეზიდენტის წევრი და ბიოლ. განყ-ბის აკად. მდივანი, 2004-იდან - საქართვე. მეცნ. ეროვნული აკად. პრეზიდენტის მრჩეველი, 2001-06 - საქართვე. მეცნ. აკად. ცენტრალური სამეცნ. ბიბლიოთეკის დირექტორი. 1956-2005 თსუ-ის ბიოლ. და ფიზ. ფაკ-ტებზე ეწეოდა სამეცნ.-პედ. საქმიანობას. ზ., როგორც ფიზ. ფაკ-ტის პროფ., კითხულობდა ლექციებს შემდეგ დისციპლინებში: ზოგადი და უჯრედის ბიოფიზიკა, მოლეკულური ბიოლოგია, რადიობიოლოგია. ზ-მა საქართველოში საფუძველი ჩაუყარა ბიოფიზ. და მოლეკულური ბიოლ. რიგი მიმართულებების განვითარებას. მისი კვლევის თემაა მეორეული ფილაშენებების მაკრომოლეკულების როლი კუნთის უჯრედის მოქმედებაში; კუნთის გიგანტური ცილების მინორულ ცილებთან ურთიერთქმედება და მათი როლი კუნთის შეკუმშვის პროცესში. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. ნაშრომი, მ.შ. ერთი

მონოგრაფია („კუნთის მოქმედების ფიზიკო-ქიმ. საფუძვლები“; თბ., 1971).
დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1997).
